№ 166 აგვისტო 12, ოთხშაბათი — 1887 — აგვისტო 12, ოთხშაბათი № 166

# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

გაზეთი ღირს

| თთვე | | მან. | კ. | თთვე | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . | 10 | — | 6 | . . | 6 | — |
| 11 | . . | 9 | 50 | 5 | . . | 5 | 50 |
| 10 | . . | 8 | 75 | 4 | . . | 4 | 75 |
| 9 | . . | 8 | — | 3 | . . | 3 | 50 |
| 8 | . . | 7 | 25 | 2 | . . | 2 | 75 |
| 7 | . . | 6 | 50 | 1 | . . | 1 | 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბალოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჭიჭინაძის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

გაზეთი „ივერია“ პირველის აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 50 კ.

ქართული წერის დედანი ვ. გაბიჩვაძისა, გამოცემული ი. მურადოვისაგან, ისყიდება ქ. ქუთაისში, გამომცემლის წიგნის მაღაზიაში.
ფასი 25 კაპ.
ვინც 30 ეგზემპლიარზედ მეტს დაიბარებს, ეგზემპლიარი 20 კაპ. დაეთმობა.
იქვე ისყიდება დედანთან სახმარებელი ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი რვეულებიც. (10—3)

ტფილისი, 11 აგვისტო

ამას წინად, როცა ბოლგარიისა და ახალის მთავრის შესახებ ვლაპარაკობდით, ჩვენ წარმოვსთქვით ის აზრი, რომ ფერდინანდის გამთავრება ვერ დააბოლოვებს ბოლგარიის აწეწილს საქმეებს და შესაძლოა, დიპლომატიის მეოხებით, კიდევ მომეტებულად გააძნელოს ამ სამთავროს მდგომარეობა. ჩვენი აზრი, როგორც სჩანს, არც გაზვიადებული და გადაჭარბებული ყოფილა და კიდევაც მართლდება. მართალია, პრინცი ფერდინანდი შევიდა ბოლგარიაში ბრწყინვალე იმედებით აღჭურვილი, მართალია, მთელი ერი, ჯარი მიეგება დიდის სიხარულით ახალს მთავარს; ამ უკანასკნელმაც თავის სიტყვაში აღუთქვა ბოლგარებს, რომ მათთან ერთად ყოველს თვისს ძალღონეს იხმარს ბოლგართა საბედნიეროდ და სხვ., მაგრამ, როგორც დღეს სჩანს, ყოველივე ესე არ არის საკმარისი ბოლგარიის საკეთილდღეოდ, თუმცა იგივე პირობანი სხვა დროს და სხვა გარემოებაში კარგ, მკვიდრ საძირკვლად დაედებოდნენ ბოლგარიის ბედნიერებას. პრინცმა თავის სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა, მე ბევრი ვეცადე, რათა მომეგო გული ძლიერთა ამა სოფლისათაო, მაგრამ ვერას გავხდიო. მე მივწერე სახელმწიფოთა, რომ იძულებული ვარ დავემორჩილო ბოლგართა თხოვნასაო.

როგორც ამ სიტყვებიდგანა სჩანს, პრინცს კობურგისას კარგად სცოდნია, რამდენად რთული და დახლართული ყოფილა ბოლგარიის საქმე. საკუთარის მეცადინეობით, ძლიერ და გავლენიან ნათესავების წყალობით პრინცმა კობურგისამ პირ-ახდილი, გულ-წრფელი აზრი ვერ წარმოათქმევინა სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა. არც ერთმა მათგანმა, გარდა რუსეთისა, პირდაპირ არ უთხრა პრინცს: ნუ, ნუ მიხვალ ბოლგარიაში, სადაც მრავალი განსაცდელი მოგელისო. ზოგიერთნი მათგანნი თითქო ამას ეუბნებოდნენ, რომ თუ წახვალ, ურიგობას არ ჩაიდენ და სხვა. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ამ ნაირი საქციელი ზოგიერთთა სახელმწიფოთა აიხსნება არა ამითი, რომ განზრახვა ჰქონდათ განსაცდელი მიეყენებინათ იმ ბოლგარიისათვის, რომელიც ეგოდენს მხნეობას და გამჭრიახობას იჩენს თავისის მშვიდობიანობის დასამკვიდრებლად, არამედ იმ მოსაზრებით, რომ ამ სახელმწიფოებს სურვილი არ ჰქონდათ ერთი მეორესათვის დაესწროთ თავის მალულის აზრის გამოაშკარავებით, ერთმანერთისათვის ეწყენინებინათ, და უმთავრესად იმისათვის, რომ უეჭველია, წინადვე მოსაზრებული განზრახვა აქვთ, რომ ბოლგარიის საქმე სხვა რამ საქმის საბაბად გაჰხადონ...

უკვე ვიცით, რომ ოსმალეთს ჯერ თავისი აზრი არ გამოუთქვამს ახალის მთავრის გადაწყვეტილების შესახებ, ისიც ვიცით, რომ სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები არ მიეგებნენ ახალს მთავარს, რომ გერმანიამ უკვე დაიბარა თვისი წარმომადგენელი და შესწყვიტა ბოლგარიასთან დიპლომატიური კავშირი. უკანასკნელი დეპეშები გვაუწყებენ, რომ, იმედიაო, გერმანია და ინგლისი მოურიგდებიან რუსეთს ბოლგარიის საქმეში და სხვა და სხვ...

როგორც მკითხველი მიჰხვდება, ბოლგარიისა და იმის მთავრის საქმის შესახებ სხვა-და-სხვა სახელმწიფონი თან-და-თან, უფრო-და-უფრო გაბედვით მოქმედებენ და, როგორც სჩანს, კიდევ უფრო ჰხლართავენ უიმისოდაც დახლართულს საქმეს. თავდაპირველად ისინი ჩუმად ისხდნენ და გადაწყვეტილს არაფერს ამბობდნენ, რითაც კობურგის გამბედაობას ფრთა შეასხეს იმ დროს, როცა რუსეთმა გამოაცხადა, რომ კობურგის პრინცს ვერ ვიცნობ ბოლგარიის მთავრადაო. როცა კობურგის პრინცი ბოლგარიაში შევიდა, მაშინ რუსეთის გაზეთები ამბობდნენ: დეე, იყვეს კობურგი მთავრადაო, ჩვენ ამას არ შევიწუხნარებთო. გაზეთები თან იმას ამბობდნენ, რომ „ჩვენ მკლავ და მკლავ არ ჩავერევით ბოლგარიის საქმეშიო, ჩვენ არ ვიომებთ ბოლგარიის საქმის გამოისობით და ვერც პრინცს კობურგისას შევიწუხნარებთო“.

თუ მართლა ევროპის ზოგიერთა სახელმწიფოთა განზრახვა ჰქონდათ რუსეთი საომრად გამოეწვიათ, რის საბაბად ბოლგარია და კობურგი უნდა გაეხადათ, მაშინ ცხადია, რომ ევროპის სახელმწიფოებმა თავის გულის წადილს ვერ მიაღწიეს. თუ მართალია ის ცნობა, ვითომ გერმანია და ინგლისი რუსეთს მოურიგდებიანო ბოლგარიის საქმის შესახებ, მაშინ, ცხადია, პოლიტიკის ჩალხი სხვა რიგად დატრიალებულა, მაგრამ რას მოასწავებს ეს გარემოება? ნუ თუ ევროპას განზრახვა აქვს საკუთრად რუსეთს მიანდოს ბოლგარიის საქმის გადაწყვეტა?

თუმცა ხმა იმის შესახებ, რომ გერმანია და ინგლისი მზად არიან რუსეთს მიემხრონო ბოლგარიის საქმეში იმასა ჰმოწმობს, რომ იგი სახელმწიფონი თანახმა არიან რუსეთს მიანდონ ბოლგარიის საქმის გადაწყვეტა, მაგრამ შესაძლოა იმ მოწმობას არ დავენდოთ; ამ ხმას სრულიად სხვა მიზეზი უნდა ჰქონდეს... სადაა და როგორია იგი მიზეზი, ამას მომავალი გვაცნობებს; ეხლა-კი უნდა ვთქვათ, რომ პოლიტიკის ჩალხის სხვა რიგად დატრიალება ბოლგარიის საქმეში სულ სხვა რასმეს მოასწავებს: იგივე ბოლგარიის საქმე უნდათ გახადონ კიდევ უფრო რთულისა და დახლართულის საქმის მიზეზად, რაიცა თვით ბოლგარიის საქმესაც სრულიად აწეწ-დაწეწავს...

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ლიმონადის გამკეთებელთ ერთმანერთში პირობა შეუკრავთ—გაეუძვიროთ ტკბილი წყალი ტფილელ მხმარებელთათ და ბოთლზე, რომელიც აქამდის ღირდა ერთი შაური, გადაეხდევინოთ ექვსი კაპეიკიო. ვინც ამ პირობას გადაევა და იეფად გაჰყიდის ლიმონადს, უნდა ასი თუმანი ჯარიმა გადაიხადოს დანარჩენ მელიმონადეთა სასარგებლოდაო. ყველას ხელი მოუწერია ამ პირობაზე, ხოლო ერთმა არ მოინდომა თურმე ასეთს ქაღალდზე ხელის მოწერა. ამ მექარხნისაგან დანარჩენთ შეისყიდეს მისი ქარხანა და ეხლა თითონ აწარმოებენ. მექარხნენი, რასაკვირველია, დიდს მოგებასა ჰნახავენ, მანამ არ გამოჩნდება ვინმე მადლიანი ოსტატი, ცილობას არ გაუწევს და არ გააიეფებს ლიმონადსა.

*** თუმცა ჩვენს ყასბებს ნიხრში 7 კაპეიკი უწერიათ გირვანქა ხორცი, უნაჭერ-ნუჭროდ აწონილი, მაგრამ მომეტებულ ნაწილს იმ ნაჭერ-ნუჭერს აგიწონავენ და შიგ-შიგ კაპეიკსაც გართმევენ ექვსი კაპეიკის მაგიერ. რომ უთხრა:

—ეს კასერი რად მინდა, კაცო, რომ მიწონავო.

გეტყვიან:

—ვა კნიაზჯან, მაშ ძროხა უკისროდ დადიოდა!

# ფელეტონი

## ქუთათურების ძილი

არა, ამ დალოცვილებს დაუქინიათ: ქუთათურებს სძინავთ და სძინავთო. მერე ვინ გვეუბნება ამას? მე როგორც შევატყე საკვირაო ფელეტონის კილოს, ავტორი ქართლელი უნდა იყოს: აი, დაილოცა ღმერთო შენი სამართალი! მართალია, ის ბატონი, ხსენებული მეფელეტონე იმავ თავის ნაწერებში ნანობს თავის ცოდვას და „თითსაც ჰკაკვავს“, მაგრამ, რადგან მე სამართლიანად ვრაცხ ჩემს თავს შეურაცხყოფილად, როგორც ქუთათური, ამ ნაირის ცილისწამებით, არ შემიძლიან საფუძვლიანად არ დავუმტკიცო იმ ჩემ მოძმეს, „ივერიის“ საკვირაო ფელეტონის ავტორს, მისი უაღრესი შეცდომილება; და რათა ვუჩვენოთ ეს შეცდომილება ბ-ნ ავტორს, ჯერ უნდა ავხსნათ, რას ნიშნავს სიტყვა, ანუ უკედ ვსთქვათ ლექსი „ძილი“. ლექსი «ძილი» ჩვენს მდაბიურს ენაზედ, და ვგონებ მეცნიერებისაზედაც, მაგრამ მეცნიერებას თავი დავანებოთ, ეს მეფელეტონეს საქმე არ არის, ერთის სიტყვით, ძილი ნიშნავს სხეულის ყოველისავე ცალკე ნაწილის და მთელის სხეულის ერთად მოსვენებას—არ-მოძრაობას. ეხლა ავიღოთ თითოეული ნაწილი ქუთათურის კაცის აგებულებისა და გავსინჯოთ: რამდენად არის მოსვენებული და ან რამდენად მოძრაობს. დავიწყოთ ბოლოდგან, რადგან მე მწადიან უფრო მტკიცედ დავასაბუთიანო ჩემი დედა-აზრი. ფეხები ბატონის ქუთათურისა არა წყნარდება. ხან აქეთ დაგლიჯინობს ქუთათური, ხან იქით დაგლიჯინობს, თუ ქვევითად, თუ ეტლით, თუ მატარებლით: კაცი, ქალი, ქალი კიდევ უფრო მეტად, ბავშვი და მოხუცი, მაგრამ ყოველივე ეს უფრო ჩვენს გაცვეთილ ბულვარს ეკითხება. ასე რომ ქუთათურებს ვერ ვუკიჟინებთ, ფეხები მოსვენებული და დაწყნარებული გაქვთო. ეხლა ხელები. ხოლო ვიდრე ხელებზედ ვიტყოდეთ რასმე, მე მსურს მოგაგონოთ ერთი მეტად გავრცელებული არაკი სომეხზედ. სომეხი ნადიმად იყო და კარგა ლაზათიანად იპუკნებოდა. სხვა მონადიმენი ეკითხებიან სომეხს:

— რას მოგიწყენია, სომეხო, გამხიარულდიო.

— აკი ვჭამო, უპასუხა სომეხმა.

მარტო ჭამა თუ მხიარულებას მოასწავებს, მეტის საფუძვლით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჭამა შეერთებული მომეტებულ ღვინის სმასთან ერთად სასწაულთ-მომქმედი რამ უნდა იყოს. და მართლაც. ასე არის. თქვენ ნუ გგონიათ, რომ იმერული ღვინის სმა იგეთივე იყოს, როგორიც ქართლური სმაა. აი, მართლა რომ ქართველებს ეტყობათ ღვინის სმაშიაც ძილი. დამსხდარან არხეინად, მოსვენებით და ხან-დაზმით შეექცევიან ღვინით და ტკბილის ლაპარაკით. ჩვენში სულ სხვაა. გადაეკრავთ ყანწს-ყანწზე, ყანწს-ყანწზე, და თავ-პირში ალ-მური მოგვეკიდება. ენა რაღაცას ჰროშავს, ფეხები ბუქნას უვლის და ხელები, ხელების დღესასწაული მაშინ არის, გადადის ხან მარჯვენით და ხან მარცხნით, მაგრამ ცარიელი-კი არა, ხანჯლიანი.

აი, მაგალითად, ელიობა დღეს სოფ. კ—ში ო. ხ. მ—ძე კარგის ქეიფის შემდეგ მოსტაცებს ვილასაც ხანჯალს—თავისას არ ატარებს ხოლმე, რადგან კარგად იცის თავის ზნის ამბავი,—გადის თემში, ერთს კაცს თავს გააგდებინებს და ორს დასჭრის, მათ შორის ერთს ქალს. მაგრამ იქნება მკითხველმა მითხრას: ეს სოფელში მომხდარაო და შენ-კი ქუთაისის ამბავს მოგვითხრობო. არც ქუთაისი ჩამორჩება ამ შემთხვევაში სოფელს. ორი თთვე არ არის მას აქეთ, რაც სამი ძმა ბიჭი და ამხანაგი, კარგის ქეიფის შემდეგ, წალაპარაკდნენ, მერე ამოიღეს ხანჯლები და დაუშინეს ერთმანერთს თავ-პირში. ბოლოს მუცელშიაც გაუტარეს ერთმანერთს, მაგრამ «კავკასიელმა ძლიერმა ბუნებამ» არ გაიმეტა იგინი სასიკვდილოდ. ეხლა ხელი-ხელ გადახვეულნი ბულვარში დასეირნობენ. სიცოცხლე და სიმარდეა, მა რა ჯანდაბაა! აგერ კიდევ კ—ში... მაგრამ საკმაოა. თუ ეს ამბები საინტერესოდ მიგაჩნია, მკითხველო, შეგიძლიან აიღო ქუთაისის საგუბერნიო უწყებანი და იქ ბევრს ამ ნაირ მაგალითს იპოვი, მე-კი შევუდგები ქუთაისის ძილის გამოკვლევას.

ენა ავიღოთ ეხლა, ბატონო. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ, მაშასადამე ენას საკმაო მოძრაობას ვაძლევთ; ვლაპარაკობთ იმდენს, იმდენს, რომ აქაური რუსები დაგვცინიან: вы все лапаракуете, лапаракуете, а дѣла никакого не дѣлаете. ჩვენ არა თუ იმას ვამბობთ, რაც ან მომხდარა, ან შეიძლება რომ მოხდეს, ჩვენ იმასაც-კი ვლაპარაკობთ, რაც არც მომხდარა და არც მოხდება. ამას ბოროტი ენები ჭორიკანაობას უწოდებენ, მაგრამ მე-კი გადაჭარბებულ ცნობის-მოყვარეობას ვუძახი.

დამრჩა კაცის აგებულობაში ერთი თავი-ღა, მაგრამ ეს თავი სჯობს ბოლოში მოვაქციოთ. სანამ-კი ერთს რასმე ისეთას ვიტყვი, რომ სულ ჩაიდუნოს ენა ჩემმა მოკამათემ. ის ხომ დღისით ძილს გვიწუნებს, მაშ ღამის ძილს რად დაგვიწუნებს, რადგან თვით ბუნებას მოუჩემებია ჩვენთვის ღამე მოსასვენებლად. მაშ მე მოგახსენებ, ჩემო მოძმევ, რომ ჩვენ არც დღე გვძინავს, არც ღამე. გიკვირს განა? დღე

ყველა ვერ წავა საჩივლელად და საჭიროა ბაზრის პოლიციამ სასტიკი ყურადღება მიაქციოს ამ უკანონობას.

⁂ არც ვერაზე ჩაუვლია უფათერაკოდ 5 აგვისტოს წვიმას. ბევრს სახლს გამოუთხარა საძირკველი და ბევრს ხელოსნებს (ვერაზე უფრო ხელოსანი ხალხი სცხოვრობს) გაუნგრია მთლად სახლის კედლები. წყნეთის ქუჩაზე არა თუ იმ დღეს, მეორე დღესაც არ შეეძლო კაცს გავლა, ისეთი ნიაღვარი მოდიოდა. მედუქნეებმა ფერის-ცვალობას გააწყეს ქუჩის გარდი-გარდმო ფიცრები და ყველა გამვლელებისაგან თითო კაპეიკს ბაჟს იღებდნენ თავიანთ სასარგებლოდ.

წყნეთის ქუჩა მაინც საძაგელი ქუჩაა—წამოშხვეპავს ცოტას თუ არა, მთელი ხევი მოვარდება ზედ და გამვლელ-გამომვლელი მუხლებამდის იფლობა ტალახში. ქალაქის გამგეობას სამძიმოდ მიაჩნია ამ ქუჩის შეკეთება. თუ მოკირწყვლა უჭირთ, ხეინჭი მაინც დააყარონ და აქეთ-იქით თხრილები ამოუღონ, რომ კაცს შეეძლოს გავლა. ეხლა არა თუ წვიმაში, დარშიაც-კი ფეხებს დაიმტვრევს კაცი ამ გზის ოღრო-ჩოღროზე. ფარნები მართალია არის, მაგრამ იმ სიშორეზეა, რომ სინათლე ერთის ფარნისა მეორე ფარნის სინათლეს ვერა სწვდება.

⁂ ზოგიერთ პატარ-პატარა დუქნებში, სადაც კვასსა და ლიმონადსა ჰყიდიან, ძალიან იბრიყვებენ და ატყუებენ ხამსა და გამოუცდელს კაცს, მეტადრე სოფლიდგან ჩამოსულებს. ამ სიცხისაგან გახურებული გლეხი გასაგრილებლად მიდის ცივის წყლის დასალევად. თუ ხურდა აქვს შავი ფული, კიდევ არა უშავს-რა. მაგრამ თუ შაურიანი სტაქანი მოითხოვა და ვერცხლის აბაზი გადუგდო დახლზე, უნდა იცოდეს, რომ ხურდას აღარ დაუბრუნებენ, პირ-იქით კიდევაც წაეჩხუბებიან და პოლიციელს გადასცემენ, თუ მაშინათვე ხელი არ აიღო თავის ფულზე, არ მიაფურთხა პირში უსინიდისო ვაჭარს და არ გაეშურა თავის საქმეზე.

⁂ გურიიდამ: მთელს ოზურგეთის მაზრაში ლანჩხუთის თემი ყველაზედ უმდიდრესია, მაგრამ ერთი სასოფლო სკოლის შენახვა-კი ძალიან გასჭირებია. ამას წინად მოიწადინეს სკოლისათვის შენობის გაკეთება, კედლებიც აიყვანეს, მაგრამ მალე თავი მიანებეს. ერთს ჩემს ნაცნობს ვკითხე ამის მიზეზი და ულვაშებში ჩაცინებით მიპასუხა: «ბარე ორი ტურა დაიჭყავლებს, სანამ ამ სკოლის შენობას დაასრულებდნენო». სირცხვილი კია ისეთს თემს, რომელშიაც 900 კომლამდე მცხოვრებელი ითვლება, უჭირდეს ერთის სასოფლო სკოლის რიგიანად შენახვა, როდესაც ზოგიერთ ლანჩხუთისაზე ბევრად ღარიბს თემს მშვენივრად მოწყობილი ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებლები აქვთ დამართული. არ გეგონოთ, რომ ეს ლანჩხუთელებს დაუდევრობით სჭირდეთ და ან სწავლის წყურვილი არა ჰქონდეთ. სწავლის წყურვილი-კი აქვთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მეთაური კაცი არა ჰყავთ, რომელიც რიგიანად გაუძღვეს ამ საქმეს.

⁂ ერთი ფრიად საქებური აზრი მოსვლიათ ლანჩხუთში. ჰფიქრობენ შეაერთონ რამდენიმე სოფლები და საზოგადო ღონით დაიქირავონ ლანჩხუთში მკურნალი, ბებია-ქალი და ფერშალი. მარტო ვაჭრები 700 მანათს ჰპირდებიან ყოველ წლობით ამ საქმეს. 3—4 თემს არ უნდა გაუჭირდეს ამ სასურველ აზრის სისრულეში მოყვანა, მაგრამ უწინამძღვაროდ ვაი თუ ეს აზრიც აზრადვე დარჩეს!

⁂ გურიაში ყანები ჯერ-ჯერობით, მოლოდინის წინაალმდეგ, ძალიან კარგებია, მაგრამ ყურძენი-კი ცოტათი დაგვინაცრა, თუმცა შარშანდელზე ბევრად უმეტესი და უკეთესი ღვინო უნდა დაგვიდგესო.

თამბაქო, ხანგრძლივის გვალვის გამო, ძრიელ ნაკლებია გურიაში და ფასმაც მეტად დაიწია. ფუთი თუთუნი ადრე რომ 9—10 მანათად იყიდებოდა, დღეს 4—5 მანათად აღარ გადის. თუთუნის მიმდევრობის წყალობით ბევრი სოფელი უმჭადოდ დარჩა და იძულებული გახდა ფუთ სიმინდში 3—4 აბაზი და ხშირად მეტიც ეძლია.

⁂ წლევანდელმა საყოველთაო ქესატობამ გურიაში ნაგომრის მოიარმუკეთაც დაასო თავისი ბეჭედი. ადრე რომ 15 დღეს და ხან მეტსაც გძელდებოდა ნაგომარშა ბაზრობა, წელს ერთი კვირაც ძლივს გასტანა და გულ-დაკოდილები დაბრუნა უკან ვაჭრები.

⁂ გასრულ თთვის 29-ს გურიის სოფ. ხიდის-თავში და 31-ს ჩოხატაურში სცენის მოყვარეთაგან გამართული იყო წარმოდგენა სამადლო აზრით. ითამაშეს თ. რ. ერისთავის სამ-მოქმედებიანი კომედია „ადვოკატები“. წარმოდგენამ საზოგადოდ რიგიანად ჩაიარა. როლები ყველას კარგად დაესწავლათ და კარგადაც შეასრულეს. ზოგმა ნამდვილი არტისტული ნიჭიც გამოიჩინა თამაშობაში. სასცენო დარბაზში ტევა აღარ იყო. როცა დაინახეს მილოვის და მორგვაძის ხრიკები, თავიანთი მყვლეფავი ადვოკატები მოაგონდათ და ხალხში გაისმოდა: „სად არის ესა-და-ეს ადვოკატი, რატომ აქ არ მობრძანდაო“. ამ თთვის 16-ისათვის ფიქრობენ ახალის პიესების დადგმას ჩოხატაურშივე და შემდეგ ოზურგეთშიაცაო.

⁂ სამეგრელოდამ; სექტემბრიდამ სამეგრელოს ყოველსასოფლო სკოლაში და აგრეთვე სენაკის სააზნაურო სასწავლებელში მეგრულის ენის სწავლება უნდა შემოიღონ. ამის ნიშნებმა უკვე თავი იჩინა. ნამდვილის წყაროებიდამ შევიტყეთ, რომ ადგილობრივს სამოსწავლო მთავრობას კიდევაც მიუღია დაბეჭდილი მეგრული ანბანი, სამეცნიერო აკადემიისაგან მოწონებული და უმაღლესის სამოსწავლო მთავრობისაგან დამტკიცებული. დღეის შემდეგ—ნაბრძანებია სამოსწავლო მთავრობისაგან—სავალდებულოდ ეხადით ყველა სამეგრელოს სასწავლებელთათვის, რომ მათ მეგრულის ენის სწავლება შემოიღონო. დაბეჭდილი მეგრული ანბანები, როგორც ამბობენ, ამ დღეებში ყველა სასწავლებლებს დაურიგდებათ.

⁂ ყვირილიდამ: შორაპნის მაზრაში გახლავთ ჩხიროულის თემი. მისი კომლთა რიცხვი არის ექვსასამდინ. ამ თემს ჰქონდა სასოფლო სკოლა ერთ განაპირებულ ადგილს, რის გამოც ჩვენი ბავშვები ნაკლებად დაიარებოდნენ სკოლაში. სიძველისაგან სკოლის სახლი დაინგრა. მოსწავლეთა რიცხვი თავად ცოტა იყო და ახლა სულ შესწყდა სწავლა. ასტყდა ერთი ყიჟინი და ყვირილი, რომ არ გვინდა სკოლაო, მაგრამ, როგორც იყო, სოფელმა დაადგინა განაჩენი—სკოლა გადავიტანოთ თემის შუა ადგილას, სადაც კანცელარია არისო. საუბედუროდ, სასკოლე სახლის აშენება მივეცით იჯარით. უნდა გაეკეთებინათ ორის თთვის განმავლობაში. გავიდა ორი თთვე, წელიწადიც და ჯერაც არსად არის! ჩაყარეს საძირკველი და ერთ ქვას დღეს დასდებენ, ერთსაც ხუთის კვირის შემდეგ, და ჩვენი მოსწავლე ბავშვები-კი მინდორში დარბიან. რომელთაც სწყუროდათ სწავლა, იმათაც გადაუვარდათ ხალისი. ნუ თუ არ შეეძლოთ ბ-ნ მასწავლებელს და სკოლის მზრუნველს, ჩაეგონებინათ თემისათვის და ექირავებინებინათ ერთი სახლი, რომ არ შეწყვეტილიყო სწავლა. სახლს არამც თუ ქირით, არამედ უქიროდაც იშოვნიდნენ, თუ-კი გულის შემატკივარი გამოჩნდებოდა. სკოლის მზრუნველად არის ყმაწვილი კაცი, ნიკოლოზ ბექანის-ძე ჩინჩალაძე, რომელსაც აქვს შესრულებული ქ. გორის სამოქალაქო სასწავლებელი. ველოდდით, რომ ეს ყმაწვილი კაცი კაი მზრუნველობას გაუწევდა ჩვენს სკოლას, მაგრამ ვაი თქვენ მტერს, რომ ჩვენ მოვტყუვდით,—რამდენიც დრო გადის, იმდენი სკოლის საქმე ცუდად მიდის. მასწავლებელიც და მზრუნველიც ორთავე აქაურები და ამავე თემისანი არიან და ძრიელ გასაკვირველი არის ამ ბატონების საქმე, რომ ასე გულ-გრილად ეკიდებიან თავის სამშობლოს სიკეთესა.

⁂ პოლიციის მეორე განყოფილებაში, 11 აგვისტოს, დილის 6 საათზე, მეორე ხევის ქუჩაზე, სოფიო დოლმაზოვის სახლთან უპოვნიათ ახლად-დაბადებული ქალიშვილი, რომელიც გაუგზავნიათ საბებიო ინსტიტუტში.

## წერილი თელავიდამ

წელს აქეთკენ ხმა გაავრცელეს, ვითომ კახეთი ბათუმისა და ბაქოს რკინის-გზას უნდა შეუერთონო. ამ ამბავმა ჩვენი ვაჭრები მეტად ააყაყანა. ამბობენ, თხოვნა თუ არ მივართვით და უარს არ გარვაყოფინეთ რკინის-გზის გაყვანა კახეთზე, დავიღუპებითო. ტფილისს წასვლა-მოსვლა გაადვილდება და მერე ვინ იყიდის ჩვენგან საქონელსა, როცა უფრო იაფად შეეძლებათ ტფილისიდგან მოტანა უკეთესის საქონლისაო. კიდევ კარგია, რომ ამათ ხელში არ არის სრულად ჩვენი ბედი, თორემ ცხრამეტჯელ სულს ამოგვართმევდნენ აქამდის.

ჩვენს ქალაქს წელს საკმაოდ ესტუმრნენ მოაგარაკენი, რომელნიც აღტაცებულნი არიან თელავის მდებარეობით, ჰავით და კამკამ წყაროებით, მაგრამ ის კი ვერაფრად ეპიტნავებათ, რომ ქალაქი ესე უყურადღებოდ არის მიგდებული ალლახის სინაბარას.

მართლაც და ღვთის ანაბარას არის მიგდებული ჩვენი ქალაქი: ქუჩები რა მდგომარეობაშიაც ალა-მახმად-ხანის დროს იმყოფებოდა, დღესაც ის ბედი ადგია. ჯერ აქ ქუჩების შეკეთება არც-კი გაუგონიათ, რაში მდგომარეობს, და დაგვა ხომ „მოდნაში“ ჯერ არ შემოსულა: ქვა-ღორღი, მკლები, სუნ-დაცემული მძოვრი ძაღლებისა და კატებისა განუშორებელი კუთვნილებაა ჩვენის მიგრეხილ-მოგრეხილისა და ვიწრო ქუჩებისა. ამ ორ-სამ წელიწადს წინად უმთავრეს ქუჩის ნაწილს (ბაზრის ქუჩას) ჰგვიდნენ ხოლმე მოვაჭრეთა „ბიჭები“ და დღეს-კი ეს სიკეთეც გადავარდა ხმარებიდამ, სხედან გულ-ხელ დაკრეფილი და ელოდებიან, აცა როდის მოვარდება ნიაღვარი და წაჰლეკავს ნაგავ-ნუგავს, ქვა-ღორღსაო; აცა როდის ამოვარდება ქარიქუში და აღგვის და გადაჰფანტავს მტვერს კავკასიის მთა-გრეხილების იქითაო. ქუჩების განათება ხომ ეხლახან შემოიღეს და ვაი ამ შემოღებას! ერთი ალთას წამოუსკუპებიათ გახრუკილი ფარანი და მეორე ბალთას, და მათი ანთება ალლახსა ჰკითხეთ: ათასში ერთხელ, როცა მთვარიანი ღამეა, იქნება აღირსონ ანთება, და როცა მთვარე მიქცეულია, და ჩვენს გაუტანელს ქვეყანაში სიბნე-

---

ჩვენ ჩვენს საქმეზედ ვალგივართ ყველანი. ღამე 7 საათიდგან მოყოლებული დილის ოთხს საათამდე ქაღალდს ვთამაშობთ. ვთამაშობთ ყველა მამაკაცებიც და დედაკაცებიც. ხშირად მინახავს დილის ოთხ საათზე გათხოვილსა და გასათხოვარ ქალებს ქაღალდის თამაშობით თეთრად გაეთენებინოთ და ჯერ კიდევ არ დაწყნარებულიყვნენ: „როგორ შეიძლება ა—ძის ქალებთან თამაშობა, თავის დღეში მათი მინუსი ჩვენს პლიუსზედ ნაკლებია!“

— მე კი დღეის ამას იქით დამიფიცნია, რომ მათთან არ ვითამაშო. მათთან პატიოსანს ადამიანს არ ეთამაშება. იპარავენ, ბატონო, იპარავენ, —ამბობს ერთი მათგანი.

გაიხედავ და მეორე საღამოს იგინივე და იმავ ა—ძის ქალები ისევ ჩაუჯდებიან რამსს და არის ერთი ალიაქოთი. მამაკაცები ხომ ისეთის თავ-გამომეტებით თამაშობენ, რომ დეპეშების კითხვასაც ვერ ასწრობენ გაზეთში. ერთი ჩემი კარგი ნაცნობი მეორე კვირას ნაღვლობდა კატკოვის სიკვდილს,—იმიტომ-რომ მაშინ გაიგო და ისიც უეცრად რამსის თამაშობის დროს.

ვიცი მკითხველი მეტყვის, და შეიძლება იმ მეფელეტონემაც ბანი მისცეს:

— ვთქვათ ეს ყველაფერი კარგი, ყველა ნაწილებს სხეულისას კარგად ავარჯიშებთ თქვენ, იმერნიო, მაგრამ თავის ვარჯიშობა, ე. ი. ტვინის ვარჯიშობა რომ არსად მოჩანს?!

ამაზე მოგახსენებთ, რომ ჩვენთვის ეს სრულიადაც საჭირო არ არის. ხუმრობა და ოხუნჯობა ჩვენს ხელთ არის, ახალ-ახალ ამბებით, როგორც მოგახსენეთ, არ მოგაწყენთ, და რაღა დარჩა? რისთვის გვინდა ტვინის ვარჯიში? მეცნიერებისათვის? აბა, მიბრძანეთ, რა საქონელია? ღომი და ღვინო, ღვთით, კარგი მოგვდის და ბლომადაც მოგვდის. მაშ მეურნეობა რა საჭიროა? სალაშქროდ თუ დაგვიბარეს, ყველანი კარგადა ვართ დამზადებული. ხანჯლის ხმარება კარგად ვიცით, ერთმანერთზედ მაინც, სხვა არა იყოს რა. სამთო ნაწილის მეცნიერება რაღათ გვინდა? ჩვენ თვალად ვჩიჩქნით მიწას, ვპოულობთ მადნებს და ვყიდით. სასამართლოებში ჩვენ კაცს არ გაუჭირდება არაფერი, ყველამ ადვოკატზე უკეთ იცის ზაკონ-კანონები. სამკურნალო მეცნიერება?!. აქ-კი ცოტათი შევჩერდები, ერთი იმისთვის, რომ ამ მეცნიერების გამოუყენებლობა ჩვენთვის დავუმტკიცო მკითხველს და მეორე მისთვის, რომ ავუხსნა ჩემ მოძმე მეფელეტონეს, თუ რა მიზეზით არ აძლევენ ნებას ექიმს დ. ერისთავს, ვოლსკის და ძნელაძეს იმკურნალონ. ამ საგნის გამოკვლევას დიდს გაჭირებაში ჩაუგდია ჩემი მოძმე და მე მინდა დავეხმარო. მოვიყვან ორს მაგალითს, რომელიც ნათლად დაგვანახვებს, როგორც ნასწავლი ექიმების უსარგებლობას ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე გუბერნიის ექიმის ბრძნულ განკარგულებას. ჰმ, ვინ მისწვდება სიბრძნეს ჩვენის თემის სახელოვანის ესკულაპისას!! აი, ბატონებო, თვით მაგალითებიცა: ამ ოთხისა თუ ხუთის წლის წინად დაბა ხონში ერთი კაცი ჭას სწმენდდა (ყველამ იცის, თუ რა სიღრმედ იციან იქ ჭის ამოთხრა). მორჩა კაცი საქმეს და სთხოვა ჭის ზემოდგან მდგომარეთ, აეტანათ თოკით მისი ხელსაწყო და სხვათა შორის დიდი რკინის კეტი. კეტი რომ თითქმის ატანილი იყო, გაწყდა თოკი და ლომი ისევ უკანვე დაეშვა, დაეცა კაცს თავში და ჩამოაცალა ერთი ნაწილი შუბლის ძვლისა და თანაც ცოტაოდენი ტვინი. მოწოდებულმა ნასწავლმა ექიმმა ხელი აიღო ავადმყოფზე: ამის მორჩენა არ შეიძლებაო. სისხლი-კი შეუწყვიტა ქლოროსის რკინაში ამოწებულის ბამბით და წავიდა. მერე მოიყვანეს ჭირისუფლებმა სოფლის ექიმი, ვიღაც დედაკაცი. მან სთქვა:

— ბატონო, ზოგს კაცს თავდაპირველადვე არ დაჰყვება ხოლმე ტვინიო, მაგრამ მაინც სცხოვრობსო. ჩაუდო თავში რაღაც ოშუშა ბალახი და შეუკერა კანი. ის კაცი მორჩა და ეხლაც საღად არის. რასაკვირველია, საინტერესო იქნებოდა გამოეკვლიათ აქაურ ექიმებს, რა ზიანი მოუვიდა იმ კაცს ამ ტვინის დაკლებით, მაგრამ ეს ჩვენებურის ექიმებისათვის გამოსარჩენი საქმე არ არის და ისთე რას დასდევენ, როდესაც გაიგეს, ჩვენ მიერ მოთხრობილის მაგალითიდამ, რომ უტვინოდაც შესძლებია კაცს სიცოცხლე. აი მეორე მაგალითიც. სპ. მ—ნის ცოლი იყო ძლიერ ავად. აქაური ყველა ექიმები და მათ შორის განსაკუთრებით გუბერნიის ექიმი სწამლობდნენ კარგა ხანს, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. ქალი წაიყვანეს მერე ტფილისს. ვერც იქ მისცეს შეღავათი. უთხრეს მის ქმარს, რომ ამის მორჩენა არ შეიძლებაო, რკუ აქვსო. ქმარმა ჩამოიყვანა მომაკვდავი ცოლი და სცადა სოფლის ექიმი დედაკაცი. ავადმყოფი ეხლა დადის და ბევრად უკეთ გრძნობს თავსა.

არა, ხუმრობ იქით იყოს და იქნება გუბერნიის ექიმმა ეს მაგალითები დაიხვია ხელზედ ან თავად ბუნება არჩენს, ან მათი სოფლის ექიმებიო, და გულ-მტკივნეულად ამბობს, ალბად ხალხს მაინც სხვათ არ გავაყვლეფინებო. აი, ჩემო მოძმე, შენის ამიცანას ახსნა. ეხლა ხომ მაინც დაიჯერებ, რომ ფხიზელნიც ვყოფილვართ და მეცნიერნიც? შემდეგში ნულარ გამოილაშქრებ ჩვენზედ... ნურას უკაცრავად.

გურგენ

ლე მეფობს, მაშინ ფარნის ანთებაც მივიწყებულია ჩვენგან.

—

ჩვენ სხვა-და-სხვა მოხელეების გარდა, ჩვენზე თვალ-ყური უჭირავთ ასრედ წოდებულს „დეპუტატებს“. არ ვიცი, რად უწოდებიათ ასეთი სახელი ამ დარბაისლებისათვის. ესენი ჩვენ სასარგებლოდ გროშსაც არა სძრავენ. „ჩვენი ქათამი სხვისას კვერცხსა სდებს, ჩვენსა კაკანებს“, ესენიც ასე სჩადიან: ცხვირს გვიხვრეტავენ—ქალაქს ვემსახურებითო, და თავიანთთვის-კი ვაჭრობენ არხეინად. ჯანი გავარდეს ყველაფერს, ივაჭრონ, ხოლო ვალის შესრულების შემდეგ ოქროსა და ვერცხლის მენდალს ნუ ჩამოიკიდებენ ხოლმე,

ურიგოდ არ მოიქცეოდა თელავი, კახეთის მთავრობისათვის, ეგებ ჩვენთვისაც დაეწესებინათ ქალაქის თვით მმართველობა,

—

ორიოდე სიტყვა ჩვენის ფოსტის მიმდინარეობაზედ. ფოსტა მინამ დიკოვის ხელში იმყოფებოდა, მისი დანიშნულება კეთილ-სინიდისიერად ჰსრულდებოდა, და ეხლა, როდესაც მისს მმართველობას განაგებენ ახალნი პირნი, მისს მიმდინარეობას, ცოტა არ იყოს, არა-სასიამოვნო ფერი დაედვა. ბევრს ჩურჩულებენ ჟურნალ-გაზეთების დამკვეთელნი, რომ თავის დროზედ ვერა ვხედავთ ჩვენს კუთვნილებასაო. უმთავრესი მიზეზი ფოსტის უვარგისობაა, რომ ჟურნალ-გაზეთებს მცირეს ვიწერთ. წერილებას მიღებაც ხათაბალად გვიხდება: კახეთს მოსვლის შემდეგ, შვიდი-რვა დღე უნდა გავიდეს, რომ შენთან გამოგზავნილი წერილი ჩაგივარდეს ხელში. უბრალოდ გამოგზავნილ წერილს კიდევ ჯანი გავარდეს, ნეტავ დაზღვეულებსაც ეს დღე არ ედგათ. თუ უბრალო წერილის დაკარგვის გამო დიდი ხმა არა გვაქვს, აი იმ დღეს, თორმეტში მოსული დაზღვეული წერილი რომ ოც-და-ორში მივიღე და მაშინაც ვიღაცა მესარდაფეოს—სგან, ეხლა ხომ შემიძლიან მთავრობას მივმართო. მაგრამ ღმერთმა გაპატიოთ, ბატონო მმართველებო.

მიტროფანე გურული

4 აგვისტო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ონი (რაჭა), 6 აგვისტო. რაჭის სამაზრო დაწესებულებათა ადგილი და უმთავრესი ბაზარი არის ონი. მოხელენი და ყოველივე სამაზრო დაწესებულებანი, როგორც მაგალითად, მაზრის სამმართველო, მომრიგებელი მოსამართლე, ნოტარიუსი, მომრიგებელი შუამავალი მეორე განყოფილებისა, მკურნალი, აფთიაქი და ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი, — ყველა ესენი ონის დაბაშია მოთავსებული. ორიოდე სიტყვა თვით ონზედ. როდესაც ხამი კაცი შესდიხარ ონში, პირველად გგონია, თუ ეს სოფლის პატარა ბაზარი არისო. დუქნები არის აშენებული ნამეტნავად ხისაგან უშნოდ და ულაზათოდ, თითქო სოფლის ღარიბი სახლიაო. მთელის ონის ბაზარი, გარდა ათიოდე დუქნისა, მთლად სამიკიტნოებისაგან შესდგება. როდესაც ონში შევდგი ფეხი, მინდოდა პირ-და-პირ სასტუმროში ნომერი დამექირავებინა და დამდგარვიყავი. მაგრამ სად არის სასტუმრო! რა დაგიკარგავს, რას ეძებ! ერთმა კეთილმა ონელმა მითხრა: „ბატონო, ონში თავისობას არც ყოფილა და არც არის სასტუმრო, და ან ვის რა ხელს მისცემს სასტუმროს გამართვა ამ საცოდავს დაბაში?“ მეც ამის შემდეგ დუქანში გავათიე ღამე. მეორე დღეს გავიარ-გამოვიარე (პარასკევი იყო) ბაზარში, სადაც მრავალს ხალხს მოეყარა თავი. მათში უმეტესი ნაწილი ქალები იყვნენ და სახოხე მალები და წინდები ჰქონდათ გასასყიდი.

შუა ბაზარში ჩამოდის ტოტი ერთის პატარა მდინარისა. ამის ნახვა ძრიელ მიამა. მაგრამ რად გინდათ! ამ წყალს თავშივე ბინძური ხალხი უხვდება და ჰრეცხენ შიგ ჭუჭყიანს სარეცხებს, თუმცა ორიათასის საყენის სიშორეზე იქვე რიონი ჩაუდით. ნუ თუ არავის გული არ შესტკივა, რომ ამ წყლის გაუპატიურებას სასტიკად აღუკრძალავდეს, მით უფრო, რომ წყალის გადმოყვანა ცოტა ფულიკი არ დაუჯდებოდა ონის დაბას. ონის ქუჩებზე ფარნებიც არის, პოლიციელებიც დადიან და საზოგადო მოწყობილობით არა უშავს-რა, მაგრამ ერთი რამ ნაკლი აქვს დაბა ონს ისეთი, რომ სულ ერთიან ლაქასა სდებს და ამდაბლებს ონს. ამ მხრით ბევრი სოფლებიც, რომლებიც მდებარეობენ რკინი-გზის სადგურების სიახლოვეს, სჯობნიან ონსა. ეს ნაკლი გახლავთ უფოსტობა და უტელეგრაფობა. ცხადია ყველასათვის, რომ ადამიანს, რაკი ცოტა შკუაში ჩავარდება, უმთავრესად ქვეყნის ამბების გაგება სურს. მაგრამ, სამწუხაროდ, ონის ინტელიგენციას ეს სურვილი ჯეროვანად ვერ უსრულდება. ადამიანი პირუტყვი როდია, რომ თავის სოროში დაიბუნაგოს და არ დასდიოს, თუ რა ჰხდება და რა კეთდება დედა-მიწის ზურგზედ. რაჭის მაზრასთან ერთად ლეჩხუმის მაზრაც ამ მხრით ძალიან ცუდს ყოფაშია. წარმოიდგინეთ, ზაფხულობით კაცი ორ-სამის კვირის განმავლობაში ვერ მიიღებს ხოლმე ჟურნალ-გაზეთებს და კორრესპონდენციებს. ზამთრობით ხომ ორი თვეც დააგვიანდებს! ეხლა ამ უკანასკნელად ამბობენ, რომ მალე რაჭას ფოსტა და ტელეგრაფი ეღირსებაო. ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ამბავი მართალი გამოდგეს და ამით აღსრულდეს მეტმიდი ნატვრა იმათი, რომლებისათვისაც ბედს სოფელში ცხოვრება ურგუნებია და თითქმის მოუსპია საშუალება თავის დროზედ წერილებისა და ჟურნალ-გაზეთების მიღებისა.

მთელს რაჭის მაზრაში თოთხმეტი სასოფლო სკოლა არის გახსნილი. აი სახელები იმ სოფლებისა, რომლებსაც სკოლები აქვთ: 1) ნიკორ-წმინდა, 2) სოტევი, 3) გელევი, 4) ამბროლაური, 5) სხვავა, 6) ბარი, 7) ახარი, 8) ღები, 9) წესი, 10) სადმელი, 11) ზნაკვა, 12) ბუგეული, 13) ხვანჭკარა და 14) ბაჯი. ამ სკოლებში ყოველგან, როგორც სხვა მაზრის სასოფლო სკოლებშიაც, მასწავლებლებად ოთხ-კლას შესრულებულები ინიშნებოდნენ სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებიდგან; ეხლა-კი ყოველ წლობით მთავრობის მიერ მათ ადგილზე სამასწავლებლო სემინარიებიდგან ინიშნებიან მასწავლებლებად. დღეს რაჭის მაზრაში ბევრი აღარავინ მოიპოვება მასწავლებლად, რომ სამასწავლო სემინარიაში არ მიეღოს სწავლა.

ტ. გ—ძე

## რუსეთი

— ამ სამის წლის წინად მინისტრთა კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ სახელმწიფო მამულები უვაჭროდ მიეცეთ ხოლმე იჯარით იმ გლეხ-კაცებს, რომელთაც ნაკლებადა აქვთ მამულებიო. პირველ ხანობაზე ეს საქმე, ცოტა არ იყოს, აირ-დაირია, რადგან გლეხ კაცნი იქა ჰგზავნიდნენ ამ გვარ საგანზე თხოვნას, სადა რიგი არ იყო. მხოლოდ ამ ბოლოს დროს გამოირკვა, რომ გლეხ-კაცებმა თხოვნა ჯერ გუბერნატორებს უნდა მიართვან და მერე, როცა გუბერნატორი შეჰკრებს ყოველ გვარ საჭირო ცნობას, ამ თხოვნას გაუგზავნის სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს. ამ ბოლოს დროს სამინისტროს 400 ამ გვარი თხოვნა შეუწყნარებია. გლეხ-კაცების მდგომარეობა ამის გამო ისე გაჭირებული აღარ არის, რადგან სიუწროვესა და მამულების ნაკლებობას აღარა ჰგრძნობენ, საცა-კი სახელმწიფო მამულები მიიღეს იჯარითა. ეს არის მიზეზი, რომ ამ გვარ ალაგებში გლეხ-კაცი გადასახლებაზე აღარა ჰფიქრობს და ძველს ბინას აღარა ჰშლისო. ასეთისავე განკარგულების წყალობით იძულებული აღარ არის სახნავი მიწები აიღოს ებრაელებისა და ჩარჩებისაგან, რომელნიც ართმევენ მამულის პატრონთ მიწებს იაფ ფასად და გლეხ-კაცს აძლევენ ერთი ორადა და ერთი სამად ძვირადაო.

— საერო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ ზოგიერთი შეგირდები სხვა-და-სხვა სასწავლებლებისა ფულებს აგროვებენ ერთმანერთში ვიღაც ბოროტ-მოქმედთა შთაგონებით და მერე ამ ფულებს სხვა-და-სხვა საწინააღმდეგო საპოლიტიკო საქმეთათვისა ხმარობენო. ამიტომ ეთხოვეთ სწავლა-განათლების მზრუნველებს, რომ არას გზით და არავითარის სახით შეგირდებმა არ მოაგროვონ ხოლმე ერთმანერთში ფული. ვინც შენიშნულ იქმნას ამისთანა საქმეში, მაშინათვე უნდა დაითხოვოთ სასწავლებლიდამ. ვინც ახლად შემოვიდეს სკოლაში, ყველას უნდა ჩამოერთვას ხელ-წერილი, რომ ამისთანა საქმეს მორიდებული იქნება, წრესა და კანონით აღკრძალულს საზოგადოებას არ შეადგენს და სხვ.

## წვრილი ამბები

— ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ პრეზიდენტის დას, როზა კლივლენდს, კერძო პანსიონის მასწავლებელს, ეხლა ჟურნალ „Literaur Lite“-ს რედაქტორობა უკისრნია ჩიკაგოში.

— გგონებ ყველა იმას იტყვის, რომ ველოსიპედი ჩვენის საუკუნის ნაყოფიაო, მაგრამ ძალიან შესცდება. ნიურენბერგის არხივში უპოვნიათ ველოსიპედი 1633 წლისა, ალტდორფელ სტეფანე ფარფლერის მიერ გაკეთებული. ეს სტეფანე კვირა-უქმე დღეებში ველოსიპედზე ჯდებოდა თურმე და ისე მიდიოდა ეკკლესიაში.

— ლონდონის სასამართლოს ამას წინად განუსამართლებია ერთი მდიდარი და შეძლებული კაცი, გვარად ლონგვორსეია. ამ კაცს ის ბრალი ედებოდა, რომ ერთი საწყალი ქალი გაუპატიურებინა, დაეპირებოდა, ჯვარს დაიწერ შენზედაო, მაგრამ ჯვარა-კი აღარ დაეწერა. ქალს ამ კაცის ხელში ყმაწვილიცა ჰყოლია. სასამართლოს ლონგვორსეიასათვის გადუწყვეტია, რომ ქალს მოტყუებისათვის 200,000 მან. უნდა გადაუხადოს თავისისა და ყმაწვილის საზრდოდაო.

— საყურადღებოა, თუ როგორ განირჩევიან ერთმანერთისაგან გერმანიაში საპოლიტიკო სხვა-და-სხვა დასები. ბევრს სოფლებსა და დაბებში ლიბერალები თავის სახლებს ცის-ფერის კრამიტითა ჰხურავენ და კათოლიკები-კი — წითელის ფერის კრამიტითა. ამ ნიშნებით ძნელი არ არის ხმის შეკრება არჩევნების დროს.

— ბერლინის ფრ. ფრიხშტადტის თეატრში ამზადებენ დასადგმელად ახალს ოპერას, კომპოზიტორის ცუმპერისას. ოპერას სახელად „ფარინელლი“ ჰქვიან. თეატრის დირექციას გადაუწყვეტია, რომ 100-ჯერ ზედი-ზედ დასდგას ეს ოპერა, ე. ი. მთელის სეზონის განმავლობაში მხოლოდ ეს ერთი ოპერა წარმოადგინოს.

## გასართობი

ადრიენნა ლეკუვრესის ავტორი ლეგუვე თავის დღიურში ორს ამბავს გვიამბობს ბერანჟეს ცხოვრებიდგან. ერთხელ ამ მგოსანთან მივიდა თურმე ერთი რიგიანად ჩაცმული ქალი და შესჩივლა, რომ ძალიან ღარიბი ვარ და ლუკმა პური მენატრებაო.

— რამდენი გინდათ?

— თხუთმეტი თუმანი.

მაშინ დიდი ფული იყო თხუთმეტი თუმანი ბერანჟესათვის. ბერანჟემ მაშინვე გააღო თურმე თავის საწერ სტოლის უჯრა, ამოიღო ფული და მისცა.

— ექვს თვეზედ დაგიბრუნებთ, უთხრა ქალმა.

— როცა შეგეძლოთ, მაშინ დამიბრუნეთ.

გაიარა ექვსმა თვემ თუ არა, ეს ქალიც მაშინვე მივიდა ბერანჟესთან და ფული დაუბრუნა.

ერთის წლის შემდეგ ესევე ქალი კიდევ მოვიდა ბერანჟესთან და თხუთმეტს თუმანს დაესესხა. ბერანჟემ მაშინვე ამოიღო საწერ სტოლის უჯრიდგან პაკეთი და მიაწოდა ქალს:

— ვიცოდი, რომ კიდევ დაგჭირდებოდათ ფული და ამიტომ ადრევე შეგიმზადეთ.

ბერანჟეს მეტად კეთილი გული ჰქონდა და ამასთან ძალიან ჭკვიანი კაციც იყო. ვისაც უნდა მიემართნა, ისეთს რჩევას მისცემდა ხოლმე, რომ უკეთესი აღარ შეიძლებოდა.

ერთხელ ალფრედ დე-მიუსემ თავისი პირველი ლექსები გამოუგზავნა გასასინჯავად. წაიკითხა ბერანჟემ ეს ლექსები და შეუთვალა:

— თქვენ საჯინიბოში მშვენიერი ცხენები გყავთ, მაგრამ ჯერ არ იცით იმათი კარგად მართვა. რა თქმა უნდა, რომ დრო მოვა და ისწავლით მათს მართვას, ხოლო, ჩვენდა სამწუხაროდ, ხშირად ისე მოხდება ხოლმე, რომ მანამ ჩვენ მართვას ვისწავლიდეთ, ცხენები იხოცებიან კიდეც.

**

გერმანიის რეიხსტაგის უკანასკნელს კრებაზედ შემდეგი სასაცილო ამბავი მოხდა, რომლიდგანაც აშკარადა სჩანს, რომ გერმანიის დეპუტატები გულ-მავიწყობით თავიანთ მეცნიერ თანამემამულეთ არ ჩამორჩებიან. დეპუტატი ვიხმანი სიასა ჰსინჯავდა, თუ კრებაზედ რამდენი დეპუტატიაო. გვარებსა კითხულობდა დეპუტატებისას და დამსწრე დეპუტატს უნდა ხმა ამოეღო, რომ აქა ვარო. აი, ვიხმანმა თავის გვარი ამოიკითხა და, რასაკვირველია, პასუხი არავინ გასცა. ვიხმანმა ხელ-ახლად დაიძახა თავისი გვარი უფრო ხმა-მაღლად. დარბაზში სიცილი გაისმა და გულის-ყურზე მოიყვანეს თურმე ვიხმანი. მესამედაც წამოიძახა „დეპუტატი ვიხმანიო“, და შემდეგ სიცილით თითონვე დაიძახა თურმე: „აქა ვარ“.

**

ერთი სასაცილო ამბავი იმაზედ, თუ როგორ შეიტყეს ვენაში პრინცის კობურგის ბოლგარიაში წასვლა. პრინცმა რა-კი გადასწყვიტა, რომ ბოლგარიის მთავრობა უნდა ვიკისროვო, თავის მსახურთ და მახლობელთ უბრძანა თურმე: საიდუმლოდ შეინახეთ ეს ამბავი და ნურავის ეტყვით, რომ ბოლგარიაში ვაპირებ წასვლასაო. პირველი მეჯინიბე მაინც მაშინვე გაიქცა თურმე და შეუკვეთა სადარბაზო ბარათი: „პირველი მეჯინიბე მის უმაღლესობის ბოლგარიის მთავრისა“. ერთი დიპლომატი შემთხვევით შევიდა იმ მაღაზიაში, დაინახა შეკვეთილი სადარბაზო ბარათები და იკითხა, ვისიაო. ერთის საათის შემდეგ მთელმა ვენამ იცოდა თურმე, რომ პრინცი ფერდინანდ კობურგისა ბოლგარიაში მიდისო.

## დეპეშა

10 აგვისტო

ტამბოვი. ოლქის სასამართლომ გაარჩია და შემდეგ გაუგზავნის სენატს საკასაციო საჩივარს, რომელიც სარატოვო-სიმბირსკის ბანკის საქმის თაობაზე შეიტანეს პროკურატურამ, სამოქალაქო მომჩივანმა პლევაკომ და ნაფიცმა ვექილებმა ბლიუტნერმა, რომელიც არის დამცველი ბანკის თავს-მჯდომარის ალფიროვისა, და შატოვმა, რომელიც არის დამცველი ბუჰჰალტერის ტრუხაჩევისა.

ბერლინი. დღევანდელს ბირჟაზე რუსეთის ფონდები კარგს მდგომარეობაში იყო, რადგან კელნის გაზეთის დეპეშამ გვაუწყა, რომ რუსეთისა და გერმანიის საურთიერთო საქმეები სასურველად გადაწყდა, როდესაც უკანასკნელად აქ იყო რუსეთის ელჩი გრაფი შუვალოვიო.

ნელიდოვი წავიდა გუშინ სადამოს დრეზდენს.

11 აგვისტო

პეტერბურგი. 1 აგვისტოს გამოსულ ოფიციალურ ცნობებიდამა სჩანს, რომ 30 გუბერნიაში შემოდგომას დათესილ პურებისა და 40 გუბერნიაში კიდევ გაზაფხულზედ დათესილების ა კაი მოსავალია; შემოდგომის ყანების მოსავალი 14-სა და გაზაფხულისა 10 გუბერნიაში ალაგ-ალაგ შუათანაა; ამ გვარივეა ალაგ-ალაგ ზამთრის ყანები 6 გუბერნიასა და გაზაფხულისა 5 გუბერნიაში. ალაგ-ალაგ საშუალოა და ალაგ-ალაგ კიდევ კარგი ზამთრისა და გაზაფხულის ყანები 3 გუბერნიაში. ტავრიდის გუბერნიაში ზამთრის ყანებს ისეთივე ცუდი მოსავალი ეტყობათ, როგორც გაზაფხულისას.

პეტერბურგის ბირჟა, 7-ს აგვისტოს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 9 32 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 182 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | 272½ |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 253¾ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა . . | — » | — » | 99 |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | 99 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — » | 83¾ | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

**აგვისტო** 31 დღით არის.

**12 დღე ოთხშაბათი.** მოწ. ფოტისა და ანიკიტესი. კათოლ. კლარიასი, ალბერტისა და მერკულიანისა. მუსულ. მე-6 რიცხვი ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—17, ჩადის 6—47. მთვარე 6 დღისაა.

**13 დღე ხუთშაბათი.** ღირსის მაქსიმესი. კათოლ. იპოლიტისა და კასიანესი. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1 ტფილისში მზე ამოდის 5—18, ჩადის 6—45. მთვარე 7 დღისაა.

**14 დღე პარასკევი.** წმ. მიქეა წინასწარ-მეტყ. კათოლ ევზებიასი და დემეტრიასი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-8 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ეიმ-უტთერვია, დღე აბრაამის ფიქრისა ისმაილის (ისააკის) მსხვერპლად შეწირვის გამო. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—19, ჩადის 6—44. მთვარე 8 დღისაა.

**15 დღე შაბათი.** მიცვალება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის მარიამისა. კათოლ. წმ. მარიამის მიცვალება. იოსებისა და იოანნასი. სომეხ. დღესასწაული წმ. ეჩმიაწინისა. ნავაკატიქი. მუსულ. მე-9 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—43. მთვარე 9 დღისაა.

**16 დღე კვირა.** დღესასწ. უფლის იესო ქრისტეს ხელთ-უქმნელის ხატისა. კათოლ. იოხამისა, როხასი და გიაცინტასი. სომეხ. მიცვალება წმ. ღვთის-მშობლისა. კურთხევა ყურძნისა. დღესასწაული ფეთხაინის ეკკლესიისა ტფილისში. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა ყურბან-ბაირამი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—12, ჩადის 6—41. მთვარე 10 დღისაა.

**17 დღე ორშაბათი.** წმ. მირონისა კათოლ. ანასტაზიასი და ემილიასი. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი. გარდაცვალებულთა კურთხევა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—22, ჩადის 6—39. მთვარე 11 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | › |
| › 2 › | 2½ | |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი . . . . | 13 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩ'ში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილის გზაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავიანთ საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჭირდა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** . | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |

## კერძო განცხადებანი

სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, რომ ამა მდგომარე 1887 წ. ენკენისთვისათვის სკოლის პირველს განყოფილებაში ორმოცი (40) ვაკანსია იქნება, მეორეში ექვსი (6) და მესამეში და მეოთხეში შეიძლება მხოლოდ შემთხვევით აღმოჩნდეს ვაკანსია. პირველს განყოფილებაში მისაღებ ყმაწვილებს ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 15 აგვისტოდამ 25-დის და თან წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: მოწმობანი წლოვანებისა და აზნაურობისა, ანუ ბანკის გამგეობის კვიტანცია, რომ მოსწავლის მშობლები (დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთაგანი არიან. პირველს განყოფილებაში შვიდისა და რვა წლის ყმაწვილი მიიღება, მეორეში ცხრისა, მესამეში ათისა და მეოთხეში თერთმეტისა. თანახმად საბანკო კრების გარდაწყვეტილებისა, სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში ყმაწვილის მიბარების უფლება აქვთ ქუთაისის გუბერნიის ყოველი მაზრას თავად-აზნაურთა. (8—7)

დაიბეჭდა და ისყიდება:

ტფილისში გრ. ჩარკვიანთან და ქუთაისში ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიაში:

**ქართული მწერლობა**

(მეთორმეტე საუკუნეში),

**ზ. ჭიჭინაძისა.**

ფასი ერთი აბაზი.

**იოსებ დავითაშვილი,**

**ბიოგრაფიული აღწერა.**

ფასი **15** კაპ.

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: **ტფილისში** ჩარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე; გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდის ყურთან, და **ქუთაისში** ჭილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

## დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემლისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

**ორი მოთხრობა**

ს. მგალობლიშვილისა

**I მცვრევაზე**

**II დიდ ზალაში**

**ფასი ორი შაური.**

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში:

**რამდენიმე სიტყვა**

ბ-ნი ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ

„ვეფხვის-ტყაოსნის“ გამო

აკაკისა

გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ორი შაური

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | › | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . . | › | 5 |
| ავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოჩხუბარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . , . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | 1 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული. ჯუღელის რედაქციით. | › | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . . | › | 55 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგ. მახი. . . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . | › | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი, ნ. ლომაურისა . . . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა . . | 1 | › |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 30 |

# ძმური სიტყვა

**თხზ. დ. მაჩხანელისა**

დაბეჭდილია „ივერიის“ რედაქციის მიერ, ისყიდება:

ტფილისში—ჩარკვიანის, გრიქუროვის, ხიდეკელის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში.

ქუთაისში—ძმათა ჭილაძეთა მაღაზიაში.

გორში—ს. მგალობლიშვილთან.

სიღნაღში—ძმ. შავერდოვების ჩითის მაღაზიაში.

წიგნი ტფილისში ღირს 20 კაპ., ტფილისს გარეშე—25 კაპ.

Дозв. цен. Тиф. 11 августъ, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე